| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თვეე | მან. კ. | თვეე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ-ნ ხიდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1888 სა-პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888

გამოვიდა და ისყიდება
ახალი ქართული წიგნი

## მამიდა ასმათი

მოთხრობა
გ. წერეთლისა.
გამოცემული „ივერიის“ რედაქციის მიერ.
ფასი 20 კ.

წიგნი ისყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნთ-საწყობში, ბანკის ქარვასლაში, სასახლის ქუჩაზე.

ტფილისი, 18 ივლისი

იმპერატორებმა ძმურად გაუწვდინეს ერთმანეთს ხელი და ეჭვი არ არის, რომ იმათ აზრად ჰქონდათ ერთმანეთ შორის კარგი, მეგობრული განწყობილება ჩამოეგდოთ. თავდაპირველად ამ აზრით მიევება ამ გარემოებას რუსეთისა და ევროპის საზოგადოება, რომელსაც მშვიდობიანობა და წესიერება სწყურიან. განა ვინმე იფიქრებდა, რომ იმპერატორებს ერთმანეთ შორის კარგის განწყობილების დამყარების გარდა სხვა რამ აზრი კიდევ ჰქონოდათ? სანამ რუსეთისა და გერმანიის იმპერატორები ერთმანეთის ნახვას განიზრახავდნენ და ერთმანეთს მოელაპარაკებოდნენ, ევროპის პოლიტიკის მიმდინარეობა ძალიან საეჭვო და საშიში იყო. სხვა-და-სხვა სახელმწიფოთა შორის საპოლიტიკო განწყობილება მეტად მწვავე იყო; ყოველ მხრით ერთი-და გულსაკლავი ამბავი ისმოდა, რომ დიდნი და პატარა სახელმწიფონი საომრად ემზადებიან, ჯარებსა და თოფ-იარაღს ამზადებენ და ხვალ თუ ზეგ თოფ-ზარბაზანი უნდა გაისროლონო. ეჭვი არ არის, რომ ეს ამბავი ერთა კეთილდღეობის მოსარჩლეთა და ერთა და სახელმწიფოთა მეთაურთათვის მეტად სამწუხარო და გულ-საკლავი იყო; ყველანი დიდის შიშითა და მწუხარებით ელოდებოდნენ ქამსა განკითხვისასა, რადგანაც იმედი არა ჰქონდათ ევროპის საპოლიტიკო საქმეთა მშვიდობიანად გადაწყვეტისა. მართლადაც, ძნელად სათიქრებელი იყო და კიდეც არის, რომ ერთის კალმის მოსმით, ან ერთის სიტყვით გაუქმდეს ისტორიული საბუთები და ისტორიის გზა-კვალი, რომლითაც ევროპა რამდენიმე საუკუნოა, რაც მსვლელობს. მაგრამ როცა ხმა დავარდა, რომ გერმანიის იმპერატორი აპირებს რუსეთის იმპერატორის ნახვასაო, იმ წამსვე ასტყდა ლაპარაკი, რომ იმათი ნახვა მშვიდობიანობის ნიშანიაო.

მართალია, არა ვიცით-რა იმის შესახებ, თუ რაზედა ჰქონდათ ლაპარაკი და თათბირი ორს უძლიერესს წარმომადგენელს ევროპისას, არა ვიცით-რა, თუ რა კვალში ჩააყენეს იმათ ევროპის პოლიტიკის მიმდინარეობა და ვითარება, მაგრამ, ვიმეორებთ, ეჭვი არ არის, რომ იმათის მოლაპარაკების საგანი ერთმანეთ შორის კარგის ძმურის განწყობილების დამყარება და დამკვიდრება იყო; საგანი ეს იყო, თუმცა ნამდვილად არა ვიცით-რა, თუ რამდენად შესასრულებელი აღმოჩნდა ეს ფრიად საგულისხმო და საყურადღებო საგანი. ხოლო იმედი იყო, რომ რაკი ევროპის პოლიტიკის ორ მეთაურთა შორის ძმური და მეგობრული განწყობილება ჩამოვარდებოდა, სხვა სახელმწიფოებიც ძალა-უნებურად რუსეთისა და გერმანიის კვალში ჩასდგებოდნენ. ეს იმედი ჯერ იმედად რჩება და, ვითარცა მომხრენი მშვიდობიანობისა და ერთა შორის ძმურის განწყობილებისა, ვისურვებთ, რომ იმედი საქმედ ქცეულიყოს.

აი, ამ გვარს ყოფაშია დღეს ორთა ძლიერთა სახელმწიფოთა ურთიერთობა და განწყობილება.

ეხლა ვნახოთ, თუ რა მდგომარეობაშია სხვა სახელმწიფოთა პოლიტიკა. უპირველესად ავსტრიას უნდა ვათხოვოთ ყურადღება, ვითარცა ისეთს სახელმწიფოს, რომელსაც დიდი და განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ევროპის საქმეთა მსვლელობასა და მიმდინარეობაში. დიდი ხანია, რაც ავსტრი-ვენგრია ამზადებს ჯარებს, საზღვრებსა და ციხე-სიმაგრეებს ამაგრებს და დაიმედებულია სხვა სახელმწიფოებზედაცა... ამ ჟამთაში იყო ავსტრი-ვენგრია ვილჰელმ მეორის გამეფებამდე და მართლა რომ გაბედულად და თამამად ჰმოქმედობდა, მაგრამ როცა ვილჰელმი რუსეთში წავიდა იმპერატორის სანახავად და თავისის გულითადის სურვილის გამოსაცხადებლად, ავსტრიას ცოტათი არ იყოს ფერი ეცვალა და გულში ეჭვი შეეპარა. ეხლა-კი, როგორც სხვა და-სხვა ცნობიდგან სჩანს, ავსტრია კიდევ უფრო გულ-მოდგინედ შეუდგა ჯარებისა, თოფ-იარაღისა და ციხე-სიმაგრეების მზადებას. ასე ამბობენ, რომ წინად ავსტრია ემზადებოდა მტრის მოსაგერებლად და ეხლა-კი, როგორც ეტყობა, სატევს ომსაც არ შეუშინდებაო; ჯარები საზღვრებისაკენ გადაჰყავს და მზად არის, თუ საჭიროება მოითხოვს, მტერს სახლში მიუხტესო. ამისდა მიხედვით გერმანიის კანცლერის მომხრე მწერლობამ კილო შესცვალა და მეტად მედიდურად იხსენიებს იმათაც-კი, ვინც, დღეს მაინც, ზრდილობიანად და პატივით უნდა ეხსენებინა.

ავსტრიის შემდეგ საჭიროა საფრანგეთი მოვიხსენიოთ. ყველა იმასა ჰფიქრობდა, თუ რა ზედმოქმედება ექნება რუსეთისა და გერმანიის იმპერატორთა თათბირს საფრანგეთის მდგომარეობაზეო. ხმა გავარდა, რომ ჰერბერტ ბისმარკი საფრანგეთში მიდისო. ამ ამბავმა ძალიან აალაპარაკა და ჩააფიქრა მწერლობა. ყველას იმისი გამოცნობა სწადიან, თუ რისი წინამორბედია ჰერბერტ ბისმარკი, ომისა თუ მშვიდობიანობისაო. ზოგიერთი ამბობს, რომ ბისმარკმა საფრანგეთს წინადადება უნდა მისცეს, იარაღი აიყარე და ევროპის მშვიდობიანობას ნუ ემუქრებიო. ნამდვილი ამის შესახებ არა ვიცით-რა, თუმცა საფიქრებელია, რომ ეს ხმა მართალი არ არის. საფრანგეთის მწერლობას-კი არა სჯერა, რომ ევროპამ იარაღის აყრა მოსთხოვოს და დაავალოს; პირიქით, ზოგიერთი გაზეთი ამბობს, რომ ჯერ იმედი არ დაგვიკარგავს რუსეთის მოსარჩლეობისა და მომხრეობისაო...

ა. ს—ი

## ახალი ამბავი

*** 17-ს ამ თთვისას, აველაბარში, მარინეს ეკკლესიის დღეობა იყო. მწირველი იყო მის ყოვლად მაღალ-უსამღვდელოესობა ეგზარხოსი საქართველოსი პალადი თავისის კრებულით. ეგზარხოსმა წირვის შემდეგ გრძნობით სავსე სიტყვა წარმოსთქვა. მლოცველი მრავალი დაესწრო.

## ფელეტონი

### ბნელი

(მოთხრობა)

XI*)

ორიოდე სიტყვა
„კნიაზ“ შაქროზედაც.

თავადის შაქრო დიდებულიძის მამა დიდის ყმისა და მამულის პატრონი იყო; ამისათვის შაქროს ძალიან კარგი ქარი უქროდა ბატონ-ყმობის დროს. როგორც სიყრმის შვილი, იგი მალე გავარდა იმ ნეტარს ცხოვრებაში, რომელშიაც ცვივდებოდნენ, საზოგადოდ, შეძლებულთა თავადთა სიყრმის შვილები ბატონ-ყმობის დროს. მისდა საუბედუროდ, სწორეთ მაშინ მოასწრო შაქროს ბატონ-ყმობის გაუქმებამ, როცა თავისის ყოფა-ცხოვრების შეიტკბო, ის იყო, გაუჯდა ძვალსა და რბილში. ორჯელ ძლივს მოასწრო შაქრომ მაყრობა ოთხ-ოთხის ბიჭით და ხავერდის ქულაჯით. თუმცა არც შემდეგში ანებებდა თავს მაყრობას, მაგრამ შემდეგში როგორც ბიჭების რიცხვი მცირდებოდა თანდათან, ისე იმისი მორთულობა ჰკარგავდა წინანდელს ეშხს. იმ ხანებში, როცა ჩვენ შაქრო გავიცანით, უბიჭოდაც დადიოდა მაყრად ნათხოვარის ცხენით, უფრო ხშირად გლეხის ქორწილებში. ტანისამოსიც ერთი და იგივე ეცვა, რაც შინ, ის მაყრობაში: უბრალო შალის ჩერქესკა, ყაზახური ქუდი და უქუსლო ხარაზული ჩუსტები. ნეტარი ცხოვრება შაქროსათვის მოისპო იმას შემდეგ, რაც მან, მამის მინდობილობით, მიიღო ტფილისში სულის ფულები და თავისს სწორ-ამხანაგებთან ერთად ცის გახსნას შეასწრო ტფილისის მეფაიტონეები და საზანდარ-მედაფ-მეზურნეები. ბევრჯელ მოუვლიდა ხოლმე ქინი წინანდელის ნეტარის ცხოვრებისა და, ზოგი ბრაზმოსულობით, ზოგიც თავისის სურვილის დასაკმაყოფილებლად, გაუტევდა ხოლმე ნაყმევებს „თავისებურად—უწინდებურად“, მაგრამ დროთა ვითარებამ ყველაფერი თანდათან მოათმენინა და დაავიწყა კიდეც. მხოლოდ აქამომდე არ დაჰვიწყებოდა თავისი ხავერდის ქულაჯა. ისე ცოცხლადა ჰქონდა წარმოდგენილი, რომ თითქმის ეხლაც ყოველს წუთს ზედ ეცვა და ყოველთვის იმის ცდაში იყო, რომ ხელი არ ეხლო იმისთანა რისთვისმე, რასაც-კი შეეძლებოდა ქულაჯის გაჩირქიანება. გარდა ბოზბაშისა, ისიც იმისთანა გლეხ-კაცების ქორწილებში და ქელეხებში, სადაც კოჯზი არ იყო ხოლმე, შაქროს ხელებს სხვა არაფერი მიჰკარებია.

მამა-პაპეულის ქონებიდამ შაქროს კარგი წილი ერგო, როგორც მამულებისა, აგრეთვე ცხვრისა, ძროხისა და სხვა ოთხ-ფეხის საქონლისა. ყველამ იცის, რომ სისხლიან საქონელს ყოველთვის საფრთხე სდევს მრავალ გვარი. ეს ყველაზედ უკეთ უფრო შაქრომ იცოდა. რომ უეცარ ჭირს იმისათვის „ცეცხლზედ წყალი არ დაესხა“, ადგა და სისხლიანი საქონელი სულ ფულად აქცია. სულს ქვეშ-კი უნდა სთქვას კაცმა, რომ ეს აზრი მარტო შაქროს არ ეკუთვნოდა—ამაში იმის მეუღლესაც ჰქონდა მონაწილეობა. განა არ იყო ეს აზრი საქები? გული გულის ადგილას დაიდეს, შიში აღარაფრისა ჰქონდათ და კნეინამაც, როგორც ქეიფსა და სიამოვნებას ჩვეულმა, დროებაც გაატარა. მართალია, შემდეგში სჭირდებოდათ ხან ცხენი, ხან ძროხა, ხან ცხვარი და სხვა, მაგრამ ამ ნაკლულევანებას მალე შეავსებდა ხოლმე შაქრო: ჰყიდდა მამულს და ყიდულობდა, რაც საჭირო იყო. მხოლოდ ის უყო მამა-პაპამ ცუდად, რომ მამულ-დედული იმდენი არ დაუმყოფა, რომ, რამდენიც უნდა გაეყიდნა, თავისს სიცოცხლეში არ გამოჰლეოდა. მამულები შეუმცირდა ისე, რომ ერთი პატარა ვენახი დარჩა და რამდენისამე დღის სახნავ-სათესი მიწა და იმაზედაც, კერძო ვალებს რომ თავი დავანებოთ, ბრიკაზის ვალი იყო ბლომად. ერთად-ერთ წყაროდ ცხოვრებისა ტყე-ღა ჰქონდა. თუმცა შაქროს ყველაზედ ცოტა მონაწილეობა ჰქონდა ტყისა, მაგრამ ყველა მოძმეებზე ბევრსა სარგებლობდა ტყიდამ თავისის მოხერხებით.

შაქროს ერთი ცუდი ზნე შერჩა ბატონ-ყმობის დროიდამ. იგი დაჩვეული იყო პატარძლებში სიარულს და ბოლოს და ბოლოს ძალიან ძვირად უჯდებოდა ხოლმე ეს ჩვეულება. თავისს ცოლშვილს მიჰრეკავდა ხოლმე თავისს სიმამრთან, რომელსაც ეტყოდა „ჩვენსას თქვენსა სჯობიაო“ და თითონ ნავარდობდა პატარძლებში. ამ შემთხვევაში მამასახლისი მოკავშირედა ჰყავნდა. უძვირფასესი ადგილი შაქროსთვის სოფელში იყო არტემას დუქან წინ; თუ სადმე სხვაგან არ შეექცეოდა, ყოველთვის აქა ჰნახავდა კაცი.

XII

ოჯახობა

მზე ჩასასვლელად არის მომზადებული. მშვენივრად დაგვილ-დაწმენდილს დერეფანში სხედან ილიას დედა და ცოლი. ოქროულას გაუშლია წინ ფეხები, კალთაში ლობიო უყრია და სჩურჩავს. ილიას ცოლს, მალა თავ დახურულს, შეუმარყუშებია თავზე მოსახვევის წვერები, წამოუყრია წინ მაჯის სიმსხო კავები, რომელნიც ამკობენ „ლაქლაქივით“ წითელ ლოყებს, მიუყუდებია გულზედ აკვანი და პატარა გიგიას ძუძუს აწოვებს.

— ი ბიჭს რა დაჰმართებია, ქა,—წამოიძახა ოქროულამ, როცა დაინახა ილია შინათკენ მომავალი:—რა გულხელი დაუკრეფია! ბიჭო, რა დაგმართებია, რატო იგეთი ფერი გაძევ, ავათ ხო არა ხარ? ჰკითხა ილიას, როცა დერეფანში შევიდა.

— ავათ-კი არა!

— მა რა დეიმართა?

— ღმერთმა რო ამააგდოს შაქროს სახლი და კარი! მით ამოგდებულია. სუდიაჰთან უჩივლია, ილი...ამ ნიქეთები დამპარაო. წელან პოვეჰტკა მამცა მწერელმა.

ოქროულამ მარჯვენა ხელი ტუჩებზედ მიიფარა და წამოიძახა:

— იმ წინწალ გამქრალსა და კომლობა ამოფხვნილს, შენ როდის დაჰპარე ნიქეთები, რო შენ გიჩივლა?

— სახ-კარი რო ამოუწყდეს!

რამდენსამე ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. ოქროულას ტუჩებიდამ ხელი არ მოუშორებია. რაც შეეხება მაროს, იგი ისე გადირივა ამ ამბავზედ, რომ არ იცოდა სად იჯდა და რას აკეთებდა. ისე უგრძნობლად გადააქანა აკვანი, რომ ძირს ტყაპა მოსძვრა აკვანს.

— ადამიანო, შე რაღა დაგმართებია?—უთხრა ილიამ.—რაზე დაჰჩეჩქვე ბალღი?

ოქროულამ ტუჩებიდამ ხელი აიღო, ისევ ლობიოს დაუწყო ჩურჩლა და ცოტა ხნის შემდეგ ჰკითხა:

— როდისა ხარ დაბარებული?

— რა ვიცი, ენკენითვეშიო.

— ენკენითვეს ნულა დაჰხვდეს იმისი თავი და ტანი! იმ ქოქ-გამქრალს შემეელიევა საფანელი?

— ის ოხერი, აჰტყდა ი თითო ცხვე-

*) იხ. „ივერია“ №№ 141, 142, 143, 145, 146, 147 და 148.

ზარხოსი წირვის შემდეგ მიიწვია თავისს სადგომში ჩაიზე ამ ეკკლესიის წინამძღოლმა, მღვდელმა სოლომონ შოშიევმა.

*** იმავ დღეს დანიშნული იყო აქტი ტფილისის სასულიერო სემინარიაში წმინდა მოციქულთ-სწორის დიდის მთავრის ვლადიმირის მოსახსენებლად. პირველი საათი იყო, რომ მობრძანდა ეგზარხოსი პალადი კრებულითურთ. აქტზე დაესწრო აგრეთვე ბესარიონ ეპისკოპოსი. პირველად ამ დღესასწაულის შესახებ სიტყვა წაიკითხეს მღვდელმა კალისტოვმა სემინარიის მასწავლებელმა დობროგლაევმა და სემინარიის ინსპექტორმა ბერ-მონაზონმა. შელალადის დროს გალობდა ეგზარხოსის ხორო.

*** მთაწმინდას იქით წყაროს უბანია. თუ სადმე ქალაქში მიგდებული უპატრონოდ, ბუნების ამარად დატოვებული უბანი, ეს სწორედ წყაროს უბანი იქნება. სახლები ერთმანეთზედ დახროგილი, უგზო-უკვლობა, პატარა სწორე ბილიკების უქონლობა, მკვიდრთა ცხოვრება, იმათი სახლების გარემოცულობა, წყაროზე სალამოობით ქალების თავის მოყრა სალაყბოდ,—ყველაფერი ჰმოწმობს, რომ წყაროს უბანი ქალაქის ცხოვრებას ძლიერ უნდა იყოს დაშორებული. თვითონ წყაროს წყალი, ის ტალახის გემო, რომელსაც ადამიანი გრძნობს დალევის დროს,—არ უნდა იყოს მარგებელი, თუმცა აქაურს დედაბრებს სასწაულ-მოქმედადაც მიაჩნიათ. ქალაქის გამგეობა სწორედ მადლს მოისხამს, გზებს რომ გაიყვანდეს, ღამე სიარულის დროს მარცხის ასაცილებლად და თვითონ წყლის ვითარებასაც გამოიკვლევდეს.

*** ქუთაისი: რუსეთის ნათლისღების 900 წლის დღესასწაულმა კარგად ჩაიარა: საკრებულო ეკკლესიიდგან ვიდრე იორდანემდე ჯარი ორ რაზმად იყო დამწკრივებული და მათ შორის მიდიოდა ლიტანია. მამა ლამბაშიძისაგან ამ დღისათვის ქართულად დაბეჭდილი წიგნაკი „წმ. ვლადიმირის ცხოვრება“ ხალხს 1,000-ოდე ცალი დაურიგეს.

*** ქუთაისივე: გუშინ, 17 ივლისს, ბ-ნმა ჩარკვიანმა, რომელმაც ამ ახლო ხანში ბუნების მეცნიერების ფაკულტეტი დაასრულა, ქუჩებზე გააკრევინა განცხადებანი და საზოგადოებას აუწყებდა ლექციის წაკითხვას. შემოსავალი თურმე სააზნაურო სკოლის სასარგებლოდ უნდა ყოფილიყო. რუსულად ლექციის წაკითხვა ბაქტერიებზე დიდი არაფერია. მზა-მზარეულ ბროშიურებისა და ჟურნალ-გაზეთების წერილების შემწეობით ყოველი უნივერსტანტი მოახერხებს, თუ მთლად ღვთის გლახა არ არის; მხოლოდ უკეთესი იქნება, ქართულად რომ წაიკითხავდეს მდაბიურის მარტივის ენით, რადგანაც მეტი მსმენელი ეყოლება და მდაბიოთათვისაც ადვილი გასაგები იქნება უჩილავ ქიაჭუების მნიშვნელობა ადამიანის სიცოცხლისა და ცხოვრებისათვის.

*** ჩვენა გვწერენ, რომ ბ-ნს ქორიძეს ბორჯომში გაუმართავს კონცერტი და საზოგადოებაც თანაგრძნობით დაჰხვედრია. ქ-ნმა მარიამ ძნელაძისამ სიმღერებში დიდი ხელოვნება გამოიჩინა. აქვე უნდა ვსთქვათ, რომ მარიამ ძნელაძისა თავისის მშვენიერისა და გრძნობიერის ხმით თითქმის ყველას ჰხიბლავს. ამას წინად ოფელიას სამღერალი სრულად იმღერა ისე ლაზათიანადა და გრძნობიერად და სიტყვების მკაფიოდ გამოთქმით, რომ საზოგადოებაში არა ერთსა და ორს ანატრა იმისი ნახვა და მოსმენა ქართულს ოპერაში. მხოლოდ ეს არის, რომ ბ-ნმა ქორიძემ გაუძეირა საზოგადოებას ქართული კონცერტი და ევროპიულის მუსიკ-ს მოსმენა ქართულს ენაზედ.

*** სოფ. დირბში, საცა გლეხებს იერუსალიმის მონასტრის მამულები უჭირავსთ, წელს დიდი მოსავალი მოვიდა ჭირნახულისა, მაგრამ ლამის ამოდენმა მოსავალმა ამაოდ ჩაიაროს. საქმე ის არის, რომ სამონასტრო მამულები დღემდე გაუმიჯნაველი იყო და მონასტრის რწმუნებული ღალას დაახლოვებულის ვარაუდით ახდევინებდა ხალხს, დღიურზე თითო კოდსა. ეხლა-კი, რაკი ამ სოფლის მამულები უკვე გაიმიჯნა და გამოაშკარავდა თუ ვის რამდენი მამული უჭირავს, მონასტრის რწმუნებულმა მოითხოვა მეოთხედი ყოველის მოსავლიდამ, მინდვრისა იქნება, თუ ვენახისა. გლეხები დიდს უარზე არიან და ისევ ის უნდათ, რომ უწინდებურად დღიურზე გადაკვეთილი თითო კოდი ჭირნახული აძლიონ. არ იქნა და ჯერ გლეხები და მონასტრის რწმუნებული ვერ მორიგდნენ. მამულების მოურავიც თავისის მხრით შემოსულს ჭირნახულს არ ანებებს პატრონებს. გლეხებმა შეადგინეს ყრილობა და გადასწყვიტეს, მინდორში დალპეს ჭირნახული და მეოთხედს-კი ნუ მივსცემთ მოურავსაო. ჯერ-ჯერობით ასე გამწვავებულია საქმე და არ ვიცით, როგორ გადასწყდება, მთავრობას მიჰმართავს მოურავი, თუ სხვაფრივ დააშოშმანებს როგორმე აღელვილსა და გაალმასებულს გლეხობას.

*** ბაქოს რკინის გზიდგან შემდეგს ამბებს გვატყობინებენ: 16 ივლისს რაღაც მიზეზის გამო ერთი ვაგონი რელსებიდგან გადმოვარდა და ძალიანაც დაშავდა. ამ დროს კონდუქტორს კისელევსკის ფეხი დაუშავდა.

ამავე დღეს, დილის ცხრა საათზე, ახტაფლის სადგურის მახლობლად, გზის ყარაულს ივანე დიაკონოვს, უცაბედად, როგორც თვითონვე ამბობს, თოფით დაუჭრია თავისი ცოლი. თოფი საფანტით ყოფილა გატენილი და ქალს ხუთ ადგილას მოხვედრია. ნამეტნავად დაშავებული აქვს ტუჩი, კბილები და ენა.

*** ღ. ცხინვალიდგან გვწერენ, რომ 14-ს ამ თვისას კედელმა დაიტანა ერთი მოხუცებული, წვრილშვილი კალატოზი, გვარად ცერაძე. საწყალი თურმე საძირკველში იდგა და სახლის წინა ალიზის კედელს უკეთებდა. ზევით ბევრი მიწა ეყარა. ამიტომაც კედელი ვერ შემაგრებულა წამოსულა, ჭერები და კოჭები თან წამოუღია და საბრალო კაცს თავს დასწოლია. მუშებს-კი გაუსწრიათ და სახლის პატრონს ურიას-კი, ხელი და ფეხი დაშავებია. მიწა საჩქაროზე გადაუწევიათ, თითქმის ერთ საათამდე, საცოდავი კაცი ამოუყვანიათ დაბეგვილ-დაჟეჟილი და სამკურნალოში გაუგზავნიათ.

*** იქიდამვე გვატყობინებენ, რომ სოფ. სხლებში ცხოვრებაშვილი გაუქურდავთ. ქურდებს საძირკველი გამოუთხრიათ და რაც ხელში მოხვედრიათ, არა დაუზოგიათ-რა. სხვათა შორის წაუღიათ ხუთი თუმანი ფული, ვერცხლის ქამარი და ვექსილები. ამ გვარი ავაზაკობა პირველი არ არის მხარეში და, ვგონებთ, არც უკანასკნელი იქნება. წინადაც ბევრი გვინახავს ამისთანა ავკაცობა. ამ საქმის გამოსაძიებლად ცხინვალიდგან გამომძიებელი წავიდა.

# უცხოეთი

**ინგლისი.** პარლამენტი უსამართლოდ მოექცა პარნელს, როცა უარი უთხრა, რომ ცალკე კომისიას ვერ დავინიშნავთ პარლამენტის წევრთაგან შენის საქმის გასარჩევადაო. ამ უსამართლობაზე გლადსტონმა სიტყვა წარმოსთქვა ერთს ბანკეტზე და, როგორც შეეფერება იმისთანა გამოცდილსა და თავ-დაჭერილს მოღვაწეს, როგორიც არის გლადსტონი, ორატორმა თავისს სიტყვაში ხმა არ ამოიღო თვით იმ ბრალზედაც, რა ბრალსაც სდებს პარნელს გაზეთი „ტაიმსი“. გლადსტონმა სთქვა:

„მე მგონია, რომ არას დროს არც ერთს კრებულს არ ჩაუდენია ისეთი უსამართლობა, როგორიც ჩაიდინა პარლამენტმა, როცა თავისს წევრს უარი უთხრა, ცალკე კომისიას არ დავნიშნავ იმ წერილების გამოსაკვლევად, რომელიც, თუ მართლა იმის დაწერილია, ვისაც ბრალდება, სახელს გაუტეხავს დამწერსაო. საზოგადოებათა პალატას ნება ჰქონია და აქვს განიხილოს და გაარჩიოს დანაშაული თავისის წევრისა, უკეთუ იგი დანაშაული ისეთის თვისებისაა, რომ იმის ჩამდენს ნებას აღარ აძლევს თავისი საპოლი-

---

რი და აღარ დემეხსნა და აღარ დემეხსნა, რაკი დავაპირე იმ საოხრო დღეს სოფელში გასვლა! მე ვთქვი ი ჩხუბზე გადაივლის-მეთქი და კიდევ არ იქნა, არ ამცდა ხათაბალა! ნეტავი რამწამ კარებზე ფეხი გადავდგი, ფეხი მამტეხოდა და მე იმ დღეს სოფელში არ გავსულიყავ.

— რა გულს იხეთქამ, შვილო, ნუ გეშინიან! შე ხო არაფრის მქნელი არა ხარ და რას გიზამენ? სუდიას უამბე ყველაფერი დაწვრილებით. უთხარ, რა უნახამთ კულავ ჩემ კელში-თქო, რო მაგისა ნიქვთები დემეპარნა-თქო; შაატყობინე ყველაფერი და მორჩები. სამართალი იმსთვინა ჰქვიან, რო სამართლე გაარჩიოს ადამიანისა. ერთი ლაფი დაადე იმას თავზე და პირში ჩალა გამოვლებული გამაისტუმრე.

— ეჰ, დედი, შენ კიდე მოჰყვებიყე ლაპარაკს! მე იმ ათჯერ სუდში წასვლა მეზარება. თავი დღეში, ამტოლა ვარ, და ჯერ არა ვყოფილვარ, თორე რაკი იქ მივალ, გავატყუნებ კი არა, ღდინსაც გავაგდებინებ!

— ჰო-და თუ-კი გაამტყუნებ, წადი და გაამტყუნე, მაგაზე რაღა გაბოროტებს! გველაშაპები ხო არ არიან სუდში, იქაც ხალხია!—უთხრა მარომ.

— იქაც ხალხია, მაგრამ, ერთი სიტყვით, ოცი თუმნის გადაკდა მირჩევნია, იქ წასვლას!

— რახა ე მაგრე გემკვლელება, შვილო, იქ წასვლა, წადი მამასახლისთან და შეეხვეწე როგორმე მოგარიგოს. მიაგდე რამე თავში და ევება თავი დაგანებოს, იმ წინწალ-გამქრალმა.

— იგრე უნდა უყო. ვევე დილაზე ჩავიდე და შევეხვეწო, თორე, რაც უნდა მიყონ, მე სუდში ვერ წაველ.

— მამასახლისსაც უნდა დაჰპირდე რასმე, რო გულთ მეეჭიდოს საქმეს.

იავხშმეს ყველამ ძალიან უმადოდ და დაწვნენ დასაძინებლად. ინათლა თუ არა, ადგა ილა, დაიწყო სიარული და წავიდა მამასახლისთან. ჭიის კარებთან დაჰხვდა გზირი, რომელმაც შეატყობინა ილას, რომ მამასახლისს ჯერ ისევ ეძინა. ილა დაჯდა კარებს გარეთ და დაუწყო ლოდინი, მანამ გაიღვიძებდა მამასახლისი. კარებთან მოგროვდნენ სხვა გლეხებიც, მამასახლისთან საქმისათვის მოსულნი. იქნებოდა რვა საათი დილისა, ახალუხა, თავ-შიშველა, ტოლალებ-ჩაშვებული, ქოშებით გამოვიდა მამასახლისი შინიდგან თვალების ფშვნეტით და გამოსწია პირდაპირ ჭიის კარებისაკენ. ყველანი ფეხზე წამოდგნენ და სალამი მისცეს. მამასახლისი ჩამოჯდა კარებთან ქვაზედ და, მოუკიდა რა ცეცხლი პაპიროზს, ისმენდა გაჩუმებული, რიგ-რიგად, საჩივარს. სამმა რომ გაათავა საჩივარი, წადგა წინ ილა და უთხრა:

— მამასახლისო, ერთი საქმე მაქვს შენთან! მამასახლისი მიჰხვდა, რა საქმეცა ჰქონდა და უთხრა:

— მაიცა, მემრე!

ილა უკანვე გადგა. როცა გაათავეს ყველამ საჩივრები და წავიდ-წამოვიდნენ, მამასახლისი შევიდა შინ და ილაც თან შეიყვანა.

ოქროულასა და მაროს ილას გზისაკენ თვალები დაწყდათ. იქნებოდა თერთმეტი საათი, რომ მოვიდა ილა შინ ძალზედ აღელვებული.

— რა ჰქენი შვილო? ჰკითხა ოქროულამ.

— რა ვქენი, მე ვიცი! იგრე დამიხლართა გზები, რო იმან უფრო ბოლმა შამამახვია! „უგალონი“ საქმეა, მაგას არაფერი ეშველებაო.

რადგანაც ილას წინა ღამეს არა სძინებოდა, დაწვა და დაიძინა.

გავიდა ორი კვირა. ერთი კვირალა დარჩა სასამართლოში გამოცხადებამდის. ამ ორის კვირის განმავლობაში ილას ორის გროშის საქმე არ გაუკეთებია. დადიოდა გულ-ხელდაკრებილი ოხვრითა და გმინვით. უსაქმობისა და დარდისაგან თითქმის სულ ეძინა და ძილშიაც საცოდავად გმინავდა. ჩამოხმა და დაედო სახეზედ ისეთი ყვითელი ფერი, რომ ევონებოდა კაცს ორი და სამი წელიწადი უცივ-უცხელებაო. ვინც შეხვდებოდა, ნამეტნავად თავისი სწორამხანაგთაგანი, გულს უკეთებდნენ, არაფერი არა იქნება-რაო.

— განა-კი იქნება რამე, მაგრამ მე თავის მოჭრასა ვჩივი; ვინც გაიგებს, რას იტყვის, როგო-ლა უნდა შავხედო ვისმე პირზე.

ორის კვირის განმავლობაში ოქროულას სახლში არც ტკბილი პურის ჭამა ყოფილა, არც ტკბილი საუბარი, არც ტკბილი ძილი, სულ ყველასთვის მწარე ნაღვლელად გადაიქცა ეს ამბავი.

ერთ საღამოს, როცა ილიას ეძინა და ძილში საცოდავად გმინავდა, ოქროულა წავიდა მამასახლისთან. როცა დაინახა მამასახლისმა ოქროულა, ულვაშებში ჩაიცინა და შეიყვანა სასტუმრო ოთახში.

— შენი ჭირიმე, მამასახლისო, მიშველე რამე, ლამის არი ი ბიჭი ხელიდამ გემემეცალოს! იგეთი გაკდა ბოლმისაგან, როგორც ყვითელი ფათალო. შავის კაბის კალთით ძლივს გამოვზარდე. შენ კარგათ იცი, შენი ჭირიმე, რო ოთხის წლის ბალღი დამრჩა იმ უბედურის დაბნელების შემდეგ. ოც-და-ექვსი წელიწადია მაგაზე თავი დავდე, ვთქვი, არ გავჰუციებ მამის კერას-მეთქი; სოფლისათვინაც გამოსადეგი იქმნება-მეთქი არც სოფელს დავუკარგე ერთი კომლი კაცი. ეხლა-კი, ლამის არი, მე თვალ-დამდგარს ნაღვლისაგან კელიდამ გემემეცალოს. ან რა კარგია, შენი კვნესამე, რო სოფელს უსაბუთო საბუთით ერთი კომლი კაცი დეეღუპოს? შენი ჭირიმე, ავრემც შენ ცოლშვილს უხარონა, მიშუამავლე ი შაქროჰთან! სასუდეთ ნუ გაუხდის საქმეს, რა ვიცი ან მიჰკემს რასმე, ან გულს დაუდებს როგორმე, თუ სუდში არ ათრევს.

— ისეთ საქმეში გაუბამ შენ შვილს თავი, რო შველა ძალიან ძნელი-ღაა! უბრალო საქმე ხო არ არი, „უგოლოვნი“ საქმეა. შენი შვილიც ერთი რაღაცა მოუხეშავი კაცი ყოფილა. იმისათვინ კარგიცა და ავიც ერთი ყოფილა. რამდენი კაი დარიგება მივეცი, მაგრამ მე იმას ვერაფერი შევასმინე. იმას ისე ჰგონია, გუთანზე ვარო და გუთნი დედასთანა მაქვს საქმეო.

— რა ქნას, შენ გენაცვალოს ჩემი თავი, განა შენ არ იცი, ტყესა და მინდორშია გაჰდილი. რა უნახამ და რა გაუგონია, რო სად როგორ უნდა მაიქცეს? ტყის კაცია, შენი ჭირიმე, ძვირ გულს ნუ ჩაიდებ! როგორც იყოს საქმე გაუკეთე, ი კნიაზი შენ სიტყვას ყველთვინ გაიგონებს, ოღონდ უშველე რამე, ავრემც ჭირს მოგჭამ და იხარებს შენი კარგი ცოლშვილი და შენი ფეხთა მტვერი გახდება.

— განა ცოტას ვეხვეწები იმ ოჯახდასაქცევს, მაგრამ ძალიან უარზედა დგა!

— რა ვიცი, იმ გასახარელს რა დაუშავა იგეთი, რო მაგრე ცილში ჰწევამს?

— შენ წადი ერთი ოთხიოდე თუმანი აშოვნინე, ვეცდები როგორმე დავიყოლიო, უთოოდ მოვარიგებ, თუ ოთხ თუმანს მამიტანს.

— სუდში ხო აღარ მოუკდება ი ბიჭს წასვლა?

— სუდში რიღასათვინ წავა! არც შაქრო გამოცხადდება, არც ილია და სუდია მოჰშლის საქმეს.

— ოღონდ გაისარჯე და მააკერკვე საქმე და მაშ ეს შავები ილაზე გამოვიცვალო, თუ იმანაც ვერ გადაგიხადოს სიკეთე.

— მე იმისი არაფერი მინდა, ერთი კვირა ვენახის ფურჩნა მიშველოს.

— ერთი კვირა რა სათქმელია, ქა? ერთი კვირა-კი არა, თუნდა სამი კვირა ამუშავე!

— წადი, წადი, აშოვნინე შენ ოთხი თუმანი! დილაზე მამიტანოს და საქმეს უეჭველად აქავე გაუთავებ.

— იხაროს შენმა ცოლ-შვილმა, როგორც ეხლა მე გახარებული მივალ შინ და ი ბიჭსაც გავახარებ.

ილია ახლად გაღვიძებული იყო.

ტიკო თანამდებობა შეასრულოს. ამ შემთხვევაში პალატას ჩვეულებადა ჰქონდა, რომ განდევნიდა ხოლმე პარლამენტიდამ დამნაშავე წევრს. ხშირად პალატა დაემყარებოდა ხოლმე სასამართლოს განაჩენზე, ხოლო ისეთს განაჩენზე-კი არა, როგორსაც დაადგენენ ხოლმე ირლანდიაში მთავრობის მოსამართლენი, არამედ ისეთის სასამართლოს მსჯავრსა და განაჩენზე, როგორსაც სდებენ ინგლისის სასამართლონი, ყველასაგან პატივცემულნი და დიდად დამსახურებულნი. ხოლო მაშინ, როცა ასეთი ხელ-მოსაჭიდებელი საბუთი არ იყო ხოლმე, ღირსეული პალატა ძველად ასე იქცეოდა, რომ ცალკე კომისიას ჰნიშნავდა თავისის წევრის დანაშაულის გამოსაძიებლად და, როცა კომისია გამოიძიებდა და გამოიკვლევდა საქმის გარემოებას, პალატა წარმოსთქვამდა ხოლმე თავისს მსჯავრსა. ყველა ამ მოსაზრებათა გამო, მე ვგონებ, მეტის-მეტი გულ-ქვაობა მოუვიდა პალატას, რომ უარი უთხრა პარნელს იმისი, რის უარსაც, გავკადნიერდები და ვიტყვი, არც ერთს დეპუტატს არ ეტყოდა, არც ინგლისისას, არც შოტლანდიისას, არც ვალისისას და, ასე გასინჯეთ, არც ირლანდიისასაც, ოღონდ-კი იგი დეპუტატი ნაციონალისტი არა ყოფილიყო".

ამერიკა. ჩიკაგოში იბეჭდება ახალი გაზეთი, რომელსაც სახელად ეწოდება „ამერიკა". გაზეთი ესარჩლება ამერიკელ მუშა ხალხს და დიდის გულმხურვალებით ამტკიცებს, რომ ამერიკის მთავრობამ არ უნდა მისცეს ნება ევროპიიდამ ჩვენს ქვეყანაში იაფური მუშა ხალხი მოდიოდეს სამუშაოდ და ამ სახით აიაფებდეს მუშასაო. ძნელი ის არის, რომ ევროპიელი მუშა კაცი ძალიან ნაკლებს ხელ-ფასსა სჯერდება და ამის გამო ამერიკელი მუშა კაციც იძულებულია ნაკლები ფასივე აიღოს მუშაობაში. ამიტომ გაზეთი „ამერიკა" თხოულობს, რომ მთავრობამ გამოსცეს კანონი და ამ კანონის ძალით ყველა ევროპიიდამ მოსული მუშა შეამოწმონ კონსულებმა და გადასწყვიტონ — მოსულები იმდენადვე გონება წარმატებულნი არიან, როგორც ამერიკის მოქალაქენი, თუ არა. თუ ნაკლებ წარმატებულნი არიან, ცოტას დასჯერდებიან დღიურს ფასს და მაშინ ჩვენი ხელ-ფასიც დამცირდებაო. „ამ ქამად-კიაო, — ამბობს გაზეთი, — იმათი მოდენა ჩვენში სწორედ შემოსევაა. ისე დღე არ გავა, რომ 4.000-დამ 10,000 კაცამდე არ შემოგვესიოს. მთელს დედამიწის ზურგზე არ არის ისეთი განათლებული ერი, რომელიც არ ებრძოდეს ასეთს შემოსევას მრავლისაგან მრავალის უცხოელებისასაო". ბოლოს გაზეთი ავად იხსენიებს ამერიკის მრეწველებსა და მოსაქმე კაცებს: ამ ბატონებს ოქრო და ფული უფრო ძრიელ უყვარსთ, ვიდრე თავიანთი სამშობლო, იმიტომ-რომ იაფის ფასის მუშებს იბარებენ უცხოეთიდამ და თავიანთ თანამემამულეებს-კი ლუკმა პურს უწყვეტავენო. საჭიროა, რომ კანონმდებლობამ სასტიკად მიაქციოს ყურადღება ამ სამწუხარო გარემოებასაო.

## წვრილი ამბები

ჟურნალი „Mainzer Israelit"-ი თავისს უკანასკნელს ნომერში ახირებულს აზრს გამოსთქვამს: ყველა გერმანელებმა, ებრაელთა ჩამომავლობისამ, დღეიდგან 1889 წლის 15 ივნისამდე, გერმანიის გარდაცვალებულ იმპერატორის პატივსაცემლად, ყველა ახლად დაბადებულ ყმაწვილებს მამობრივის სქესისას სახელად ფ რ ი დ რ ი ხ ი დაარქვანო. ჟურნალი ამბობს, რომ ადრეც სწორედ ასე მოიქცნენ ებრაელნი თავიანთ მფარველ მონარქის მიმართ. ეს მონარქი იყო ალექსანდრე დიდი, რომელმაც, ებრაელთა ქვეყანაში ბრძოლის დროს, არამც თუ არ გასტეხა დაპყრობილი მხარე, ებრაელთათვის-კი არა სდევნიდა და, პირიქით, ჰმფარველობდა კიდეც. მადლობის ნიშნად თავიანთს შვილებს მას შემდეგ დაუწყეს დარქმევა ალექსანდრესი, სანდრესი და სანდერასი. ეს სახელი ეხლაც ძალიან არის გავრცელებული ებრაელთა შორის, განსაკუთრებით აზიაში მცხოვრებელ ებრაელთაო.

— პირველი ნაწარმოები გამოჩენილის რომანების მწერლის მარლიტისა, როგორც ეხლა შეუტყვიათ, დაბეჭდილა გაზეთში მხოლოდ იმ მიზეზით, რომ რედაქტორს-გამომცემელს ჟურნალ „Gartenlaube"-სას კბილი სტკიებია. ერთხელ რედაქციაში მივიდა თურმე სხვა წერილებთან ერთად დიდი რვეული ვიღაც ლიტერატურაში ჯერ უცნობის მწერლისა და სათაურად ეწერა „ტურინგის მოთხრობები". ამ მიღებულ მასალაში ზოგიერთი წერილები შეუცვლელად გადასდეს დასაბეჭდად, ზოგი თანამშრომლებს დაურიგეს გასასწორებლად და დანარჩენი-კი გვერდზე მიჰყარეს, რომ უკანვე დაებრუნებინათ, მაგრამ დაავიწყებოდათ და ვერ გაეგზავნათ. კიდეს, რედაქტორს, კბილმა ტკივილი დაუწყო, ძილი გაუფრთხა და იფიქრა, რომ მეტად მოსაწყენ რასმე ნაკვლებს წავიკითხავ და იქნება დამეძინოსო. გაშალა ეს რვეული, დაიწყო კითხვა, მთელი ღამე თავი მაღლა არ აუღია და ისე მოეწონა თურმე უცნობის კაცის ნაწერი, რომ მაშინვე ბრძანება გასცა, რაც შეიძლოთ ჩქარა დაჰბეჭდეთ ეს მოთხრობა „Gartenlaube"-ს ერთს უმახლობელესს ნომერთაგანშიო.

— ჩიკაგოში დაუპატიმრებიათ ამას წინად ვიღაც დ. უ. ბროუნი, რომელსაც ორის ცოლის შერთვა ჰბრალდებოდა. გამოძიების შემდეგ აღმოჩენილა, რომ ბ-ნს ბროუნს, ორი-კი არა, ოც-დათორმეტი ცოლი ჰყოლია შეერთებულის შტატების სხვა-და-სხვა ადგილს. თითოეულს ამ ოც-და-ათს ჰგონებია, რადა თქმა უნდა, რომ ჩემი ქმარი მარტო მე მეკუთვნის და მხოლოდ მე ვუყვარვარ იმასაო.

— ერთს ველოსიპედით მოსიარულეს, რომელსაც ამ რამდენისამე ხნის წინად საჩუქრად მიუღია ველოსიპედით მარჯვედ სიარულისათვის, ეხლა ხანებში გული წამოსტკივებია. ექიმებს სასტიკად აღუკრძალავსთ, რომ ველოსიპედით სიარულს თავი უნდა დაანებოთო. რა-კი გაუგია ყმაწვილს კაცს, რომ საყვარელის ველოსიპედით ველარ ივლიო, მშობლებისათვის უთქვამს ცუდადა ვარო და შესულა თავისს ოთახში. ერთს საათს შემდეგ გოგოს გაუგონია ყმაწვილის კაცის ოთახიდგან დამბაჩის ხმა, შესულა ერთს წუთს და ფეხებ-გაშოტილს ჭაბუკს თავზე წასდგომია. ყმაწვილს კაცს საფეთქელში უკრავს დამბაჩა და ისე მოუსწრაფებია სიცოცხლე.

— ლონდონში სტუმრად არის ეხლა ამერიკელი ლედი ქ-ნი შაუ, რომელიც საგანგებოდ უსტვენს თურმე და სხვა-და-სხვა არიების დასტვენით დიდძალს ფულს იგებს. ეს ქალი მაღალ-მაღალი, შავგვრემანია და მეტად ცოცხალი სახე აქვს. ქ-ნს შაუს ოთხი ყმაწვილი ჰყოლია და დაუწყია ფულის მოსაგებად სტვენა. იგი გაკვეთილებს იღებდა თურმე სტვენისას და აგერ უკვე მთელი წელიწადია, რაც სტვენის კონცერტებს ჰმართავს. ქ-ნი შაუ ყოველ დღე ორი საათი სხვა-და-სხვა სამუსიკო პიესებს უსტვენს სავარჯიშოდ. სარეკომენდაციო წერილი ჰქონია ქ-ნის გარდენბილტისა ლონდონში მისვლისას და პირველი კონცერტი პრინცის უელსისას გაუმართავს. თავისს ქალებს ქ-ნი შაუ არას დროს სახელს არ ეძახის, თითოეულის დასაძახებლად სხვა-და-სხვა ყაიდაზედ უსტვენს და აგებინებს თურმე. ქ-ნის შაუს ოთხივე ქალებიც ვარჯიშობენ თურმე და კარგადაც უსტვენენ.

## გასართობი

ფილადელფიის თეატრში ეხლა არდგენენ ახალს პიესას „The tvo brot hers"-ს, ბალზაკის რომანიდგან გადაკეთებულს. ამ პიესის წარმოდგენაზედ ერთი სასაცილო ამბავი მომხდარა იმის გამო, რომ ყმაწვილის კაცის მოთამაშე არტისტს ქება-დიდება შეუსხამს ამერიკის განთქმულ მეფაბრიკე პერისათვის. ამ არტისტს მეტად საუკეთესო ადგილას, როცა სხვაგან ყოფნის შემდეგ დაბრუნებული გმირი პიესისა თავისს სატრფოს ჰხედავს, დაუძახნია:

— ახ, რა ლამაზია, როგორ გაკეთებულა!.. ანგელოზსავით განსპეტაკებულია. — ყმაწვილს კაცს პიესის ამ სიტყვებისათვის თავისის მხრივაც წაუმატებია: — იგი გაკეთებულა იმიტომ-რომ დღეში ორჯელ იბანდა პირს პერის ფაბრიკაში შემზადებულ გლიცერინის საპონით. ეს საპონი მთელის ქვეყნის ყველა საპნებზე უკეთესია და ისე ნახე-

---

როცა ოქროულა მოვიდა შინ და უამბო ყოველი, რაც მამასახლისმა უთხრა. ილას ცოტათი გულზედ მოეშვა. მეორე დღესვე მიუტანა მამასახლისს ოთხი თუმანი და იმავე დღესვე დაადგა საქმეს და ორი კვირა სულ იმის საქმეს აკეთებდა. მანამ სასამართლოში წასვლის ვადა გავიდოდა, ილას კიდევ შიში ჰქონდა გულში. როცა გაიგო, რომ შაქრო არ გამოცხადებულიყო სასამართლოში და მამასახლისმაც დაარწმუნა, რომ საქმე მთლად გათავებული იყო, ილაც დამშვიდდა.

### XIII

### გაახლება დარდისა

ილიას არაფრად მიაჩნდა არც ოთხის თუმნის გადახდა, არც მამასახლისთან ორ კვირას მუქთად მუშაობა, რა-კი გადურჩა სასამართლოში გამოცხადებას. მოეცა უწინდებური გული, უწინდებური ფერი და მუშაობის ხალისი. იმისმა სწორ-ამხანაგებმაც, რომელნიც სრულიად თანაუგრძნობდნენ, გადიყარეს დარდები და იმასთან ერთად გააძლიერეს ისევ თავიანთებური ლხინი. მხოლოდ ხანდისხან-კი წავიდოდა ხოლმე ილია ფიქრში და წამოიძახებდა უცბად: „ამ ოჯახ დასაქცევმა, რატო იგრე მიყო ი შაქრომ! კინაღამ უსაბაბო საბაბით არ დამწვა ალალ-მართალი კაცი!

გავიდა დრო და ხანი. ილიას დაავიწყდა, რაც რამ მოხდა. შეექცეოდა თავისს ამხანაგებთან მაჭრით და თანაც იძახოდა: „ჭამა-სმაც მიყვარს და გარჯაცაო". გაჰყვა ორ-სამ ნეფიონს მაყრად და „გაახარა თავისი ქია"; წავიდა ჩვეულებისამებრ „ალილოს" თავისს სწორ-ამხანაგებით. ალებაც მხიარულად გაატარა. ალების ღამეს მოგროვილი ძვლებიც თვითონ წაიღო ტყეში ყველიერის ორშაბათს, გადაჰყარა და დაიძახა: „აჰათ, ტყის ნადირებო, თქვენი სარჩო და ამ წლის იმ წლობამდე ჩემ საქონელს პირი არ ახლოთ!" ყველიერმაც მხიარულად ჩაიარა. წმ. ორშაბათს, დილით, ოქროულამ გაუკეთა ჩიტებს ფაფა, დაუდგა ნატეხრებით ლობეებზე და სთხოვა, რომ „ამ წლის იმ წლობამდინ" პირი არ ეხლოთ ილიას მოსავლისათვის. მარომ თაგვებს საჩოხე დაურთო და სთხოვა, რომ იმის ბარგ-ყურესათვის პირი არ ეხლოთ. ერთის სიტყვით, ყველანი უწინდებურად არხეინად იყვნენ. ისეთი უდარდელად და მხიარულად იყო ილია, რომ კინაღამ პატარა ბიჭობა არ მოაგონდა და „თაგო, თაგო" თითონ არ გააქცია. მხოლოდ წმ. ორშაბათს ძლიერ მოღრუბლულის სახით ადგა ქვეშაგებიდამ. ოქროულამ, რასაკვირველია, შეატყო ესა და ჰკითხა მიზეზი:

— ერთი ოხრული სიზმარი ვნახე წუხელ, — ასე მიუგო პასუხად ილამ: — და უთუოდ იმ ოხერი ცხვირიეით ცუდათ გადაივლის ესეც. უთოოდ კიდევ ხათაბალაში რაშიმე გავებმები.

— რა ჰნახე? ჰკითხა დედამ გულის ფანცქალით.

— ემაჰ ზევით — შამაიტარა, კეფაზე ხელი, — სუ მეეჭრათ ჩემთვინ და კიდევ-კი ცოცხალი ვიყავ.

— უთოოდ წუხელ მარჯვენა მკარზე იწვებოდი, — გაუკეთა დედამ გული, თუმცა-კი თვითონ ელდა ეცა: — და იმიჰთვინ გინახამ მაგითანა სიზმარი. მარჯვენა მკარზე როდი უნდა დაჰწვე, შვილო; ცაცია მკარზე უნდა დაჰწვე. ყველა ადამიანს ერთი ანგელოზი ჰყავ, ერთი ეშმაკი. ეშმაკი და ანგელოზი ერთმანეთს ებძიან. როცა მარჯვენა მკარზე დაწვება ადამიანი, ეშმაკი ერევა ანგელოზს და, რაც ცუდი რამ არის, იმას აჩვენებს სიზმარში ადამიანს. როცა ცაცია მკარზე დაწვება, მაშინ ანგელოზი ერევა ეშმაკს და მაშინ სუ კარგ სიზმრებსა ჰშინჯავს ადამიანი. ამას იქით ნულა დაჰწვები მარჯვენა მკარზე, თორე კიდევ ცუდ სიზმარს გაჩვენებს ეშმაკი.

თუმცა ოქროულა სცდილობდა გაეკეთებინა ილიასათვის გული, მაგრამ ვერაფერი უშველა-რა — ამ სიზმარმა ძალიან ჩააფიქრა ილია.

— რას უყურებ, შვილო, რატო არ გახვალ სოფელში, შენ ვინა და ყეენობა დღეს ამთენ ხანს შინ ჯდომა ვინა? უთხრა ოქროულამ, როცა შეატყო, რომ ილია არ აპირობდა სოფელში გასვლას.

— რა ვქნა, წასვლა-კი მინდა, მაგრამ იმ ოხერი სიზმრისა ძალიან მეშინიან. ვაჰ თუ კიდევ ბალაში გვევხვიო!

— წადი, შვილო, ჭირი მოგჭამოს დედამ! რა რიგათ დაგაშინა იმ კომლობა გამქრალმა. წადი, უბრალოთ ხმას ნურავის გაჰცემ, უბრალოთ ნურაფერს ილაპარაკებ და ვინ რას გიზამს?

ადგა ილია და წავიდა სასოფლოსაკენ. გავიდა თუ არა სასოფლოზედ, შეეხჩა წინ მწერალი და მიაჩეჩა ხელში უწყება. ილიას ნაცრის ფერმა გადაჰკრა პირისახეზე უწყების დანახვაზე; გულმა ძგერა დაუწყო და სული შეუგუბდა. როცა მაიბრუნა სული, ჰკითხა:

— ე რა არი?

— ეს გახლავს, შენი ჭირიმე, — უპასუხა მწერალმა: — ისა, რომ კნიაზი შაქროს საჩივრის გამო კიდევ გიბარებენ სუდში ამ თვის ხუთმეტში — დღეის სწორს უნდა გამოჰცხადდე.

— აკი იმ ულმერთომ აგრე მითხრა, აღარ წავალო, შენც ნუ წახვალო და საქმეს ჩაატარებს სუდიაო?

— რა ვიცი, ჩაატარეს, თუ არა, კიდევ-კი გიბარებენ-და! ეხლაც თუ არ წახვალ, მემრე ჩაფრებით წაგიყვანენ.

თქვენი მტერი დაღონდეს, როგორც ილია დაღონდა. დაიწყო სიარული და მივიდა მამასახლისთან. შესჩივლა თავისი მწუხარება. მამასახლისმაც უბძანა:

— რამ შაგაშინა, შე ლაჩარო, შენა? სუდიას უთოოთ არ გაუგია, რო შინაურულათ მოჰშველდით. ნუ გეშინიან, კიდევ მე გაგიკეთებ საქმეს. საცა იქნება და არ იქნება მოვენახამ შაქროს და წიგნს მივაწერინებ სუდიასთან, რომ შინაურულათ გაგითავა საქმე.

— ძალიან კარგი იქნება! შენი ჭირიმე, ერთი სიტყვით, ოღონდ ამ ხათაბალას მამარჩინე და, რა ვიცი, რა მადლი-და გინდა სხვა!

— აი ხვალვე შაუდგები მაგ საქმეს. არ ვიცი-კი მალე ვიპოვნი, თუ არა — ვინ იცის სად,არი გადაქაჯული? უპოვნელს-კი არ გაუშვებ, მაგრამ ერთი ეს არი მოიცდები. ამ კვირია მუშა უნდა დამეყენებინა ვენახში.

— აი, აქ არა ვარ! ოღონდ ეგ საქმე მაახერხე და ამ კვირია მე შენ არ მოგშორდები. თუ მაშველიებ ვისმე, იგრე ვამუშაო რო! . თუ არავის მამცემ და არც მე ამერევა მარტო მუშაობა.

— კაცებს მოგცემ მაშ! შენ წადი ეხლა, საცა გინდა და არხეინად იყავ — უთოოდ გაგიკეთებ საქმეს. დილაზე-კი მოუსვლელი არ დაჰდგე!

მამასახლისიდამ ილიამ პირდაპირ შინათკენ გამოსწია. როცა მივიდა შინ, უთხრა დედას:

— აკი გითხარ, რო ოხრული სიზმარია-მეთქი. კიდევ მიბარებენ იმის თაობაზე სუდში!

— უი, ნეტავი გამაქრო! მართლა? მა რა მითხრა ი წიწწალ-ამოწყვეტილმა და კომლ-გამქრალმა მამასახლისმა, რო მოვაშლევინებო! მაშ ოთხი თუმანი რათ გამომართვა? არ იყავ მამასახლისთან?

— როგო არ ვიყავ.

— რა გითხრა?

— აგრე მითხრა, რო, საცა იქნება, ვიპოვნიო, შაქროს წიგნს მივაწერინებ სუდიასათვინაო და ეხლა-კი მოჰშლისო.

ამ ამბავზედ ილიას დედასა და ცოლს დარდი და ბოროტი ისევ გაუახლდათ. ილიამ მიდო — იქავე დერეფანში — კუნძზე თავი, მიეცა ძილს და სალამომდის განუწყვეტლივ ეძინა.

როგორც დაჰპირდა მამასახლისი, კიდეც შეასრულა. გაანთავისუფლა „სრულებით", როგორც არწმუნებდა, მაგრამ ილიას გული-კი მაინც ისევ რაღაცას შემოჰკვნესოდა.

მელანია

(შემდეგი იქნება)

ვარ ფასადა ჰქონის, რომ ყველას შეუძლიან შეიძინოსო.

ამ სიტყვებს მაყურებელთა საზოგადოებაში ერთი აყალმაყალი და აურზაური ატეხნია, ზოგს ტაშის ცემა დაუწყია, ზოგს—სტვენა, მაგრამ არტისტს-კი საწადელი შესრულებია: მეორე დღესვე ფილადელფიის ქალებს დიდით-პატარამდის დაუწყიათ ამ გლიცერინის საპნის ყიდვა და დიდ-ძალი საქონელი გაუსაღებიათ ზემოხსენებულის მეფაბრიკისა. ეხლა პიესის ავტორსა და არტისტს შორის საჩივარია ამტყდარი. არა, მე მერგება და არა, მე ის ფული, რომელსაც მეფაბრიკე პერი აძლევა მაგ სიტყვების წამატებაშიო, ედავებიან ერთმანეთს. სადავო ფული ცოტა არ არის თურმე, რადგან პერი ამ პიესის თითო წარმოდგენაზე, როცა-კი ზემოდ ნათქვამი სიტყვები იქმნება წამატებული, 500 მან. მიცემას დაჰპირებია.

**

ვიღაც მისს გეორგინა მაკ-კლერნაუს ამერიკის გაზეთებში შემდეგი ახირებული განცხადება დაუბეჭდვინებია: „თანამოქალაქენო! ნუ თუ გულ-ცივად მოეპყრობით სიტყვებს თქვენის თანამემამულისას, ახალგაზრდა, მშვენიერ, კეთილ, საუკეთესოდ აღზრდილ, ერთის სიტყვით, ისეთის თვისებებით შემკულის ქალისას, რომელიც საჭიროა, რომ გააბედნიეროს იგი, ვისაც ჰიმენეის კავშირით შეუერთდება? მაშ ასე, ნუღარ დააყოვნებთ! უპირველესად ყოვლისა ნუ იმორცხვებთ, ნუ დაიხევთ უკან და გახსოვდეთ, რომ ლაჩრებს ჯერ ვერასოდეს, ქვეყნის დაარსებიდგან აქამომდე, ვერც ერთის ქალის გული ვერ დაუმორჩილებიათ და ვერ დაუმარცხებიათ!"

◆◆

# დეპეშა

17 ივლისი

სევასტოპოლი. გუშინ, 900 წლის დღეს რუსეთის ნათელ-ღებისას, დილის 8 საათზე დაიწყო ლიტანია ადმირალტეისტკის ტაძრიდგან. ლიტანიაში მიიღეს მონაწილეობა: ეპისკოპოსმა ტავრიდისამ და სიმფეროპოლისამ, ყველა ეკკლესიების სამღვდელოთა კრებულმა, ყველა ქალაქში მყოფმა ჯარებმა დროშებით, ქალაქის წარმომადგენლებმა, სხვა-და-სხვა სასწავლებელთა შეგირდებმა და ხელოსანთა უსტაბაშებმა. მელიტანიენი გაიმართნენ ეკატერინის ქუჩისაკენ, გაიარეს ნახიმოვის პროსპექტი, დიდი ქუჩა, ზღვის ქუჩად წოდებული, და გაიდნენ იმ გზაზე, რომელიც მიდის ხერსონესის მონასტრისაკენ. ხერსონესის მონასტრის ახალს ტაძარში გარდახდილ იქმნა პარაკლისი მოციქულთა-სწორის მთავარის ვლადიმირის სახელობაზე და იკურთხა წყალი; შემდეგ ლიტანიით შემოუარეს მონასტერს. მონასტრის კარებში მელიტანიეთ მიეგება წინამძღვარი მონასტრისა ზერებითური, მთავარ-ეპისკოპოსი ხერსონისა და ოდესისა და სამღვდელოება. როცა მელიტანიენი შევიდნენ მონასტერში, მთავარ-ეპისკოპოსნი დას-დასად დაიყვნენ და მონასტრის სამსავე ტაძარში ერთსა და იმავე დროს გადიხადეს წირვა. ნაწირვალს გარდახდილ იქმნა პარაკლისი, იკურთხა წყალი და ისხურა ჯარს, დროშანი და ერი. ნასადილევს ტაძარში, ჯერ უკურთხებელში, ეკურთხაუდნენ და უქადაგებდნენ ხალხს; შემდეგ წარსდგნენ ცოცხალი სურათები ერთმანეთის წინაშე და დარიგდა წიგნაკები. ორი გემი უფასოდ ეზიდებოდა ხალხს სევასტოპოლიდამ ხერსონესში. საღამოზედ ხერსონესი გაჩირაღდნებული იყო. დღეს ქალაქი და გემები მორთულია ბაირაღებით, ხოლო საღამოზე ჩირაღდნით იქნება განათებული. საღამოზედვე იქნება [illegible] ბულვარზე.

ნიჟნი-ნოვგოროდი. გუშინ, შემდეგ ლიტანიისა, ქალაქის საკათედრო ტაძრიდამ და ყველა ეკკლესიებიდამ ოკას მდინარემდე წყლის საკურთხევლად მეორე მცირე ლიტანია იყო იარმუკაზე მაკარიის ნიშისაკენ. აქ გარდახდილ იქმნა პარაკლისი და ამართეს საიარმუკო ბაირაღები.

კიევი. დღეს საგანგებო კრებაზედ ქალაქის საბჭომ დაადგინა: გაემართოთ მარმარილოს ფიცარი იმ ალაგას, სადაც გარდაიცვალა აქაური გენერალ-გუბერნატორი დრენტელნი, და ზედ შესაფერი ზედ წარწერა წააწეროთო. დღეს საბჭოში გარდახდილ იქმნა პანაშვიდი გენერალ დრენტელნის მოსახსენებლად. შემდეგ საბჭომ გადასწყვიტა: დავესწრნეთ ყველანი მიცვალებულის დასაფლავებაზეო.

რომი. რომის გუბერნატორმა ოფიციალურად გამოაცხადა, რომ მასსოვა უკვე შემოიერთა იტალიამაო.

თეირანი. ასტრაბადის მაზრაში მცხოვრებმა თურქმენ-სალორებმა აჯანყება მოახდინეს. აჯანყებულთ ბრბოთ გასცარცვეს ასტრაბადის ახლო-მახლო მდებარე სოფლები და ახლა თვით ასტრაბადსაც ემუქრებიან. ბევრი ხალხი მოკლულ იქმნა. ასტრაბადის მცხოვრებთა მიჰმართეს შაჰისა და ხორასანის გუბერნატორს და სთხოვეს, გვიშველეო. ასტრაბადელ გუბერნატორს საკმაო ჯარები არა ჰყავს, რომ აჯანყებულნი დაამშვიდოსო. თვით ასტრაბადში და აკ-კალეს ციხე-სიმაგრეში, სპარსეთის საზღვარს ახლო, შიმშილობა ჩამოვარდა. ვაჭრობა სრულად მოისპო და დუქნები დაკეტილია.

18 ივლისი

კიევი, 17 ივლისი. 900 წლის დღეობის გამო რუსეთის ნათელ-ღებისა ქალაქმა გაჰმართა სადილი, რომელზედაც დაესწრო 1000 კაცზე მეტი. იმ მრავალ დეპეშის გამო, რომელიც მიიღო კიევისა და გალიცკის მიტროპოლიტმა პლატონმა სხვა-და-სხვა ეპარქიისა, ქალაქისა და საზოგადოებისაგან, ქალაქს მოუვიდა კიდევ ასზე მეტი დეპეშა მოლოცვისა. უფრო მომეტებულად სლავიანთა ქვეყნებისაგან. ყველა დეპეშა არ არის ჯერ ცნობაში მოყვანილი. მრავალ სლავიანთა სტუმართა გარდა, იმ სტუმართა, რომელთა შესახებაც წინადაც იყო ლაპარაკი, სადილად იყვნენ: სლოვაკების პოეტი სვეტოზარ-გურბან-ვაიანსკი, რომელიც წინადაც იყო კიევში კირილესა და მეთოდეს დღესასწაულზე, პავლე მუდროვი, ძველი გამოჩენილი პატრიოტი ამბრო პეტრი, რედაქტორი სლოვაკების გაზეთისა „Народныя Новины" დოქტორი ფრანცისკ ბარეში, შემადგენელი მორაველთა შარშანდელის კრებისა, რომელზედაც ამ მორაველთ გარდასწყვიტეს, დავუბრუნდეთ ისევ მართლ-მადიდებლობასაო და სხვანი.

სხვა-და სხვა მხრიდამ მრავლად მოდის დეპეშები სამძიმრისა ყველასაგან პატივცემულის უფროსის ა. რ. დრენტელნის გარდაცვალების გამო. მიცვალებულის კუბო შეამკეს გვირგვინებით სხვა-და-სხვა დაწესებულებათა და საზოგადოება, იმათ რიცხვში ლეიბ-გვარდიის იზმაილოვსკის პოლკმაც, რომლის კომანდირადაც იყო ალექსანდრე რომანის ძე მესამოცე წლებში; წმ. ვლადიმერის უნივერსიტეტმა დღეს შეამკო მიცვალებულის კუბო გვირგვინითა, რომელიც მიიტანა ეკკლესიაში უნივერსიტეტის რექტორმა და დეკანმა. დასაფლავების დღისთვის ელიან სამხედრო მინისტრისა და იმის უმაღლესობის პრინცის ა. პ. ოლდენბურგსკის მობრძანებას.

დღეს მობრძანდა პავლოვსკში მეფე ბერძენთა.

პეტერბურგი. წავიდნენ: სამხედრო მინისტრი კიევსა და გზათა მინისტრი—ვარშავას.

ვენა. დღეს დაიწყეს განსამართლება სამხედრო სამართლით პოდპოლკოვნიკის ხარინსკის მკვლელთა. ბრალდებული 37 ჯარის-კაცია მეციხოვნეთა როტისა.

სტამბოლი. ოსმალეთი იძულებული შეიქმნა და სადიპლომატო პროტესტი გამოაცხადა იმის გამო, რომ ბოლგარიის მთავრობამ დაიჭირა ბელოვო-ვაკარელის რკინის გზა. ოსმალეთს აზრადა აქვს, რომ თუ ბოლგარიის მთავრობა კანონიერს გზას არ დაუბრუნდა, დანიშნოს მთავრის ამორჩევამდე შესაფერი კაცა აღმოსავლეთის რუმელიის გამგებლად.

ათონი. რუსეთის მისსიამ იდღესასწაულა პირეაში 900 წლის დღე რუსეთის ნათლის-ღებისა. კლიპერი „Забіяка" და საბერძნეთის ფლოტი მორთული იყო ბაირაღებით.

რომი. თუმცა რომის კურიამ თავისი საბუთები წარადგინა, იმპერატორმა ვილჰელმმა მაინც გარდასწყვიტა დაჰბაზოს გაუწიოს იტალიის მეფეს რომში და არა რომელსამე სხვა ქალაქში, მაგრამ რათა პაპს არ ეწყინოს, იმპერატორი ჯერ ვატიკანს მივა და მერე—კვირინალს.

პეტერბურგის ბირჟა, 14 ივლისი

| | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 8 65 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 173 |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 1 33 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მოგები ბილეთი . . . . | — „ | — „ | — „ |
| —მეორისა . . . . | — „ | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — „ | — „ | — „ |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპჱ (1888) წელი წადია ქვეყნის შექმნიდამ 7396.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1888 წლის ზედ-ნადებია—25.

მკათათვე 31 დღით არის.

19 დღე სამშაბათი. ღირსისა მაკრინესი. კათოლ. წმ. ვიკენტისა. სომეხ. წინასწარმეტყ. ზაქარიასი. მუსულ. მე-22 რიცხვი თვისა ზილ-ყაადესი, 1305 წ. ჰეჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 4—53, ჩადის 7—19. მთვარე 23 დღისაა.

20 დღე ოთხშაბათი. წმ. წინასწარმეტყველის ილიასი. კათოლ. წინ-მეტყ. ილიასი. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-23 რიცხვი თვისა ზილ-ყაადესი, 1305 წ. ჰეჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 4—54, ჩადის 7—18. მთვარე 24 დღისაა.

◆◆

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ივლისიდამ 1 აგვისტომდე

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. . | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. . | 3 | » |
| „ 2 „ | 2½ | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | „ |
| „ „ 2 — | 3½ | „ |
| „ „ 3 „ | 3 | „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | „ |
| 1-ლის ხარისხისა . . | 5 | |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 | |
| მე-3 — . . . | „ | „ |
| ძროხის ხორცი . . . | 8 | „ |
| „ 2 „ | 7 | „ |
| სუკი . . . . | 14 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | „ |
| ღორის ხორცი . . . | „ | „ |
| „ 2 „ | „ | „ |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდან: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამ შაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით, ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მისწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მისწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საავგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს კვდაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე, და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ სადგურებისაკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, ბანკის ქარვასლაში, № 101.


## განცხადებან

დაიბეჭდა და ისყიდება
გაზეთ „მეურნის" გამოცემა

## ვაზის ოგი

(მილდიუ ანუ ვაზის პერონოსპორა),
შედგენილი
პ. ვიალას წიგნის ხელმძღვანელობით
ვ. ს—შვილის მიერ.
ფასი ორი შაური.

## ცნობათა უმთავრესი კანტორა

შ. ვ. დავიდოვისა.

ეს კანტორა ქ. ტფილისში, რომელიც მთავრობისაგან ნება-დართულია და რომელსაც ზალოგი აქვს შეტანილი ხაზინაში.

კანტორასა აქვს საგნად შეჰკრიბოს და მოიპოვოს ყოველ-გვარი ცნობა, რომელიც-კი საჭიროა და სასარგებლო ვისთვისმე. კანტორას ეცოდინება, სად, რომელი, ვისი და როგორი მამული ისყიდება, გირავდება, ან იჯარით და ქირით იძლევა და რა ფასად; ვის უნდა სახლი დაიქირაოს, ან გააქირაოს ქალაქში, ანუ ქალაქ გარეშე; სად რა ბანკები, ანუ სავაჭრო და სატრანსპორტო დაწესებულებანი არიან და რა წესები აქვსთ შემოღებული თავიანთ საქმეში; ვინ ეძებს და ვის უნდა იშოვნოს საადვოკატო, სამწერლო, სამასწავლებლო და სხვა ამ გვარი, ანუ სხვა საქმე: მუშაობის, პრიკაშჩიკების, მოახლის, მოსამსახურის ადგილი და სხვა.

არზების და სხვა ქაღალდების შედგენა.

ქ. ტფილისი, თავად-აზნაურ. ბანკის ქარვასლა (არწრუნისეული), თეატრის ქვეშ.

## წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

## წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულ ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძისაგან . . . . . . . . | ,, | 40 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. . . . . | ,, | 15 |
| სწორ-მეტყველება, სახელმძღვანელო გრამატიკისა, პ. კვიცარიძისა . . . . . . . | › | 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. . . . . . . | 1 | 50 |
| II ნაწ. . . . . . . | 1 | 50 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა . . . . . . | „ | 15 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის" გამოცემა. . . . | „ | 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ. . . . | ,, | 30 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა . . . . . . . | ,, | 50 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . | 3 | ,, |
| სამართლის წიგნი კასტანგ რჯულ-მდებელისა (რუსულს ენაზე) . . . . . | 3 | 50 |
| ვაზის ობი. . . . . . | „ | 10 |
| მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი . . . . | „ | 30 |
| ტიბიკონი, რ. ხუნდაძისა. . | 1 | „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა. | „ | 40 |
| საქართველოს მეფეებზე, გულისაშვილისა . . . . | „ | 15 |
| გულივერის მოგზაურობა . | „ | 50 |
| ლოცვანი, ღამბაშიძისა . . | „ | 30 |
| სიკვდილი მართლისა, პონტოული პილატეს მეუღლის წერილი თავის მეგობარ ქალთან. | „ | 5 |

## კელერის ზეითუნის ზეთი

მცოდნეთა და დამფასებელთათვის.

ისყიდება პროვინციის დიდ მოვაჭრეებთან, მოსკოვში—რ. კელერთანა და ამხ., ნიკოლსკის ქუჩაზედ.

3—1 (ц.)


Доз. ценз. Тифлисъ, 18-го Іюля 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Гол. просп. д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე